


F-343  
1992



ქართული

№ 2 თებერვალი 1992 წ.



# სურს ინანიური



## ზრახუნები

### (დიდი ღალი)

გოგონა თბილისში არ ჩამოუყვანიათ. მას ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა მძალ-მთიან, ნაძვანართ შემოსილ ავარაკზე. ორჯერ მოვიკითხე წერილით. მეორეზე თვითონ დღიმი მომწერა. ეს არის ნამდვილი ბავშვური წერილი.

უპირველეს ყოვლისა, დიდ მძალობას მიხედის ყურადღებისათვის, მომიკითხავს, როგორ ვარ; თავისი მხრიდან მაცნობებს, რომ სულ კარგად არის, დედაც კარგად არის, მოკლედ ამიწერს სანატორიუმის მიღამოებს — ლურჯ მთებს, ხავსიან ნაძვებს, ხმაურა ნაკადულს, იმ ნაკადულში „ამომსხდარ“ ლოდებს. და ბოლოს მიწერილი აქვს ლექსის მგავარი რაღაც — მაღალი, ტანწურწება ასობით, თითქოს მხატვრულ წერაში სავარჯიშოდ:

დიდი მზე,  
დიდი მთვარე,  
დიდი დედამიწა,  
დიდი ნისლეები,  
დიდი დარდი,

ამის ქვემოთ კიდევ არის ერთი სტრიქონი — „დიდი დალი“.

სულ დაბლა, წერილის მარჯვენა კუთხეში, დახატულია ბიჭურად მოკლედთმაშკრილი პატარა გოგონას თავი. თვალეზად და ცხვირად

სამი შავი წერტილი აქვს დასმული, პირი თითქმის ყურებადღე აქვს არკალული, იცინის, იცინის და მისი სიცლისაგან რაღაც გულისგამხარებელი სინათლე ევინება მთელ წერილს.

### (სხლი სიხარბი)

მანქანა დაიძრა.

დედაბერს შავი, გრძელი კაბა ეცვა, შავი პრილა მოსახვევი ჰქონდა მოხვეული, მუხლებზე კალათი ედგა და იმ კალათიდან ბიბილოებდაწითლებულ ორ ქათამს ამოეყო თავი. ერთხანს ხმისამოუღებლო ათვალთვია ხან ელიყო, ხან გუბაში. მერე გუბაზს მკლავზე გამხდარი ხელი დააღო, გადმოიწია, სახეში ქვემოდან შეხედა, ბებრული ჩამჭანარი ტუნებით გაუღიმა და ჰკითხა:

— შენ რა, ქართველი არა ხარ? რატომ გამარჯობას არ ამბობ?

გუბაზს შერცხვა.

— მაპატიეთ, ბებო, ხომ იცით, მანქანაა, დავთებული ამოდის კაცო.

— გამარჯობა უნდა პოქვა, შვილო, გერე როგორ იქნება! ქართველიც რომ არ იყო, გამარჯობა მაინც უნდა თქვა, შენ კი ქართველი ხარ, ჩვენი მხარისა...



ხორბალი ყოველთვის დიდი იმედი იყო შრომელი კაცისა. ქართველი გლეხი იტყოდა: „შიდ მისს შვიდი ღერი მაინც რომ გქონდეს, კიდევ იმედი გქონდესო“. მართლაც, თუ მისის წვიმები დროზე წამოვიდოდა, გამეჩხერებული ჯეჯილიც კარგ ყანად იქცეოდა. კარგ ყანაზე ამბობდნენ: „ზედ რომ საცერი გაავთრო, ძირს არ ჩამოვარდებო“.



ფიროსმანი ასეთი კაცი იყო — მაღალი, ხმელ-ხმელი, პირქუში, ბოხხმიანი, და მაინც დამყოლი. ბავშვს რომ ეთქვა: — არაფრის მაქნისი არა ხარ, არაფერს არ წარმოადგენ ამ ქვეყნისთვის, — თავზე მოფერებით გადაუსვამდა ხელს, ჩაეღიმებოდა და ასე მიუგებდა: — მართალი ხარ, მეც ბევრჯერ მიფიქრია ამახუო.

F-6049

## მინიატურაში

### ზამთარში, საღამოობით

ზამთარში, საღამოობით, ვენახებსა და ჭაღლებში ატყდება ხოლმე გაუწაფავი ყურისთვის თითქმის შეუმჩნეველი შმაშურ-ფანჯნი. ასე გეჩვენება, თითქოს სიბნელე მოდიოდეს ხმელ ფოთლებსა და ბალახებზე რბილი, რბილი თათებით. სინამდვილეში — ჩიტები იბუდებენ. ისინი მიძვრებიან ბარდებში, ჯავებში, ბულულელებში, ფულურობებში. სხედან იქ მთელ გრძელ დამეს, აბუხულები, მსუბუქები, — წინწკალ მფეთქავ სითბოდ ყინვაში, ქარში, — დახუჭული აქეთ პაწაწინა თვალები და ფიქრობენ დარიანად.

რაზე იფიქრებენ პატარა ჩიტუნები? თოვლიან ცივ დამეში, ალბათ, მზიან დღეზე. როგორი იქნება მათთვის ეს დღე?

მოვა ნაავადმყოფარი მზე და მზრუნველი დედის ფრთასავით გადაეფარება ყველა გაჭირვებულს თავისი თბილი, ალერსიანი სხივებით.

### თუშეთის პოეზია

თუშეთის მთებში, ხრიოვ მიწაზე, გულადმა ვვლივარ ცხენისგან ნათრევი, დაჩენქვილი, თვალეში სისხლჩაღდეგებული, და შველიმი ჩემთან ჩამუხლულ, ხელებათახთახებულ, ატირებულ წითელ დედაბერს.

### ოპი

შემოსდგომიან ქალაქს ყვავილები, უტყვენ — მიძვრებიან ღრმულელებში, ღობეებისა და კვდლების ძირძირ, იმალებიან ნანგრევებისა და ნაყარების ქვეშ, უფრო გამბედავნი გადარბიან ზემოდანაც, მეწინავე რიგებში აღარც ერთია ტანმრთელი — გადატეხილან, წაქცეულან, მიწაზე გართხმულან, ჩაჩენქვილან, ერთმანეთში

გადახლართულან, მიწას შერევიან და მაინც ყოფინით მიიწვევენ წინ.

შუა ქალაქში, რკინა-ბეტონის ხიდის ლავგარდანზე ამოსულია ოქროსცოცხა, გამარჯვების მოხეიძე ღამაზი მებრძოლი ყვავილთა ლაშქრისა.



## ხალხური

თებერვალი დადგაო,  
ხეში წვალი ჩადგაო,  
ჩიტმა-ჩიორამაო  
საძირკველი გადგაო.

## გვიანაჟუნებს

### თვალს

ლია კოხალაძე

განაფხული მოვა  
და სამთრის სუსხს გაღვეს,  
განაფხული მალე  
შემოგვიღებს კარებს.

მალე,  
მალე,  
მალე  
შეიცვლება მთვარე,  
ია იეკლეუცებს,  
სიო ინარხარებს.

მალე,  
მალე,  
მალე  
მზე გვანუქებს აღერსს,  
ევაილებით მორთავს  
ტყეებს,  
მინდვრებს,  
ჭალებს...

აუჰ, რა დითვლის  
ეუახოთა ხალხებს,  
გული ამდერღება,  
გული გაინარებს.  
განაფხულის სიბლი  
ეპარება მთა-ველს,  
განაფხული უკვე  
გვიანაჟუნებს თვალებს...

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

# ბავშვებისთვის - 100

ბავშვებო, თქვენ უოველდღე რაღაცას ახალს იგებთ და გრძნობთ, თუმცა ზოგი რამ თითქოს მუდამ იცოდით, ვთქვათ ის, რომ მაღლა ცაა და ძირს დედამიწა, რომ ცაზე ღამით მთვარეა და ვარსკვლავები, დღისით — მზე... მაგრამ გიფიქრიათ, რა მაღალია ცის სილაუვარდე, ან რა ჩუმი, რა წყნარია ზოგჯერ მთვარე? ანდა ნიავის ქროღვისას გაგიგონიათ „თუ ჩუმაღ როგორ ესაუბრება ფოთოლს ფოთოლი?“ გაგიგონიათ „შრიალი ვერხვის, შრიალი ყანის?“

აი, „ლურჯი, ლურჯი დღე არის...“

აი, ცხის ნანგრევებზე „ფოქებული ჩქეფს ბროწეული“...

აი, შემოდგომის ქარი უბერავს და „ილულება მზე, იძარცვება ტყე...“

აი, „იდუმაღ-მარადიულზე ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი“.

რამდენ ასეთ რამეს იგრძნობთ, დანინახვთ და განიცდით, როცა წაიკითხავთ საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს! ეს ლექსები მძაფრად, მძაფრად გაგრძნობინებთ სამშობლოს, მიგახვედრებთ, რომ

„არ ღირს მსოფლიოს მთელი სიმდიდრე

ერთ გაქროლებად — სამშობლო მხარედ“.

შეაღეთ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის კარი — „კარი ჩუქურთმებიანი, კარი სტუმართმოყვარე“.

## ლექსი, დაწერილი უამინდობაში

რა ამაღ მღევას ფიქრობს  
რღვევა ელვის სარკეთა.  
ვერ დამძალავს, ვერ შემინჯრობს  
შიში, სასოწარკვეთა.  
რა ამაღ გზას იახლებს,  
რომ წაშალოს სახლგარი.  
ვერაფერსაც ვერ დამაკლებს  
ღვარტყაფი, ნიაღვარი.

ამაღ ხმას ნიაღვარი  
ქუსილად გადაქცევს,  
ვერწავვარი, ვერწავვარი  
გრიგალი ვერ წამაქცევს.  
თუ საქვეენო, არ ამაღ  
ზრუნვა გულს არ შორდება,  
მითხარ ზღვაო, შაო ზღვაო,  
რა არ გამოხწორდება!

ი. მალიჩიძე

## ღმერთის სტუმრობა აბრაამთან

მხატვარი **ილუარდ ანგოკაძე**

ღმერთი რამდენჯერმე გამოეცხადა აბრაამს. ერთხელ სამი მოგზაურის სახით მოეკვლინა. ეს ასე მოხდა: შუადღის პაპანაქება იყო. ამ დროს აღმოსავლეთში, ჩვეულებრივ, ყველა ისვენებს. აბრაამი კი იჯდა თავის კარავთან და სივრცეს გასცქეროდა, რათა თუ კი ვინმე გაჭირვებული გამოჩნდებოდა, დახმარებოდა. დაინახა გზად მომავალი სამი მოგზაური. წამოდგა, მიეგება, თავი მდებლად დაუტკრა, შინ შეიპატიჟა, მასწინდელი ჩვეულების მიხედვით, ფეხები დააბანინა და რითაც შეეძლო, გაუმასპინძლდა.

ტრაპეზის დროს ერთმა სტუმარმა თქვა: გაისად ამ დროს შენს ცოლს, სარას შვილი ეყოლებათ. სარას გაეცინა — მაშინ ის 89 წლის იყო, აბრაამი კი 99-ისა.

— რატომ გაიცინა სარამ? — თქვა მოგზაურმა, — ღვთისთვის ხომ შეუძლებელი არაფერია! ზუსტად ერთი წლის შემდეგ მოვალ თქვენთან. ვაჟი გეყოლებათ და ისააკი დაარქვით.

აბრაამი მიხვდა, რომ მასთან თვით ღმერთი იყო მისული. აქ უფალმა პირველად გამოუცხადა ადამიანებს, რომ ის არის წმინდა სამება და სამი სახე აქვს. მანამდე კი მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ღმერთი ერთია. ჩვენს ცოდვებისა და გონება-შეზღუდულობის გამო ეს საიდუმლო ჩვენთვის მიუწვდომელია.

საუბრიდან გაიკვია, რომ ღმერთი განრისხებული იყო მეზობელი ქალაქების — სოდომისა და გომორას მცხოვრებლებზე და მათი განადგურება ჰქონდა გადაწყვეტილი. აბრაამმა სთხოვა, დაენდო ეს ქალაქები, თუკი იქ თუნდ 50 მართალი ადამი-

ანი აღმოჩნდებოდა. ღმერთმაც აღუთქვა, მაგრამ აბრაამი განაგრძობდა თხოვნას, თანდათან უკლებდა მართლების რიცხვს და ბოლოს დაითანხმა უფალი, არ განადგურებინა სოდომი და გომორა, თუ კი იქ 10 მართალი კაცი მაინც აღმოჩნდებოდა.

## სოდომისა და გომორას განადგობა

ამ უღმერთო ქალაქებში კი ათი მართალი კაციც არ აღმოჩნდა. უფლის ანგელოზები სოდომში რომ შევიდნენ, მხოლოდ ლოთმა მიიღო ისინი თავის სახლში, რის გამოც ძლივს გადაურჩა სოდომელებს. ანგელოზებმა უბრძანეს ლოთს, სასწრაფოდ გასცლოდა ამ ქალაქს თავისი ოჯახის წევრებთან ერთად. თან გააფრთხილეს, უკან არავის მოეხედა. როგორც კი ლოთი თავის ცოლთან და ორ ქალიშვილთან ერთად ქალაქიდან გავიდა, მაშინვე





ცეცხლის წვიმა წამოვიდა. ორივე ქალაქი სულმთლად გადაიბუგა და ისე მოოხრდა, რომ წარმოიქმნა მარილიანი ზღვა, იგივე მკვდარი ზღვა, რომელშიც სიცოცხლე არ არის. ლოთის ცოლმა უკან მიიხედა და მაშინვე მარილის სვეტად იქცა — იგი დაიხსება, რადგან არ ეთმობოდა უწინდელი ცოდვიანი ცხოვრება. ეს მკაცრი გაკვეთილია ჩვენთვისაც: როდესაც ღმერთი დაგვაძლევინებს რაიმე ცოდვას, იგი მაშინვე უნდა ამოვიძირკვოთ ჩვენი გულიდან და მისკენ აღარ მივიხედოთ.

## ისააკის მსხვერპლად მშენიება

ღმერთი მუდამ ასრულებს თავის დანაპირებს და შეუძლებელი მისთვის არაფერია. ერთი წლის შემდეგ სარას მართლაც ეყოლა ვაჟი. მას ისააკი დაარქვეს.

ბავშვი რომ წამოიზარდა, ღმერთმა გადაწვევითა აბრაამის რწმენა ამაღლებინა და უთხრა: წაიყვანე ისააკი და მსხვერპლად შემომწირე იმ მთაზე, რომელსაც მე გიჩვენებო.

აბრაამს თავს ერჩინა ისააკი, მაგრამ მისთვის ერთადერთი სიკეთე ღვთისადმი მორჩილება იყო. ამიტომ, რაკი უფალი ითხოვს, მაშასადამე, ასე სჯობია ჩემთვისო, თქვა, და ღვთის ბრძანების შესრულებას შეუდგა. აიღო შეშა, ცეცხლი, წაიყვანა ისააკი და კიდევ ორი მოსამსახურე, და გზას გაუდგა. ღვთისგან მითითებულ მთას რომ მიუახლოვდა (ეს იყო მორეოს მთა: ქრისტე აქვე ახლოს იცეცხე ჭვარს), მოსამსახურეები მთის ძირში დატოვა, შეშა შვილს აპკიდა ზურგზე და მასთან ერთად მთაზე ავიდა. ისააკს უკვირდა, ცეცხლი და შეშა მიგვაქვს, შესაწირი კრავი კი თან არ გვყავსო. აბრაამმა თქვა: ღმერთი თვითონ გიჩვენებს თავის მსხვერპლსო.

მთაზე რომ ავიდნენ, აბრაამმა შეკრა თავისი უსაყვარლესი შვილი, რომელიც კრავივით ემორჩილებოდა მამას: ხის გროვაზე დააწვინა და მის დასაკლავად ხელი შემართა. ამ დროს ხმა მოესმა: „ნუ დაკლავ ისააკს, — შენს ძეს. ვხედავ ისე გიყვარვარ, რომ შენი ისააკიც არ დაიშურე ჩემთვის“. აბრაამმა მოიხედა და დაინახა, იქვე ბუჩქებში ცხვარი გახლართულიყო. დაიჭირა და შესწირა უფალს.

ასეთი დიდი რწმენისათვის ღმერთმა აკურთხა აბრაამი და ყველა მორწმუნის მამა უწოდა. მის მაგალითზე უფალს უნდოდა ადამიანებისათვის ეჩვენებინა, როგორ უნდა უყვარდეთ ღმერთი.

ისააკი მოასწავებს იესო ქრისტეს — ძე ღმერთს. ქრისტეს შობამდე ორიათასი წლით ადრე ისააკმა, როგორც ქრისტემ ჭვარი, თავისი მხრებით ზიდა თავის დასაწვავი შეშა. იგი, ვით მამა ღმერთის ნებას იესო, უსიტყვოდ ემორჩილებოდა აბრაამს. ღმერთმა ისე შეიყვარა ყოველი ადამიანი, რომ ჩვენი გადარჩენისათვის თავისი ერთადერთი ძეც კი მსხვერპლად შემოგვწირა.

# მთაბი

## პიორგი წარათალი

ზოგი მთა მეფეთმეფეა,  
 ჯერაც არ გადალახულა,  
 ზოგი ჰატარა გორა  
 შიგ ვანში გადანახულა.  
 ზოგი ერს ემსახურება,  
 ზოგი დემრთს უდვას მსახურად,  
 ზოგს ციხე,  
 ზოგსაც ტაძარი  
 თავზე კვირკვიანად ასურავს...  
 ზოგს მტრისგან ჩამობღერტილი  
 რივის წვრილთვალა აცვია,  
 ზედ ხავსის თქა მოუსხამს,  
 ზოგს ისიც შემოსძარცვია.  
 ნისლის ჩადრებშიც მინახავს  
 სახიზნე იმისთანები,  
 ვით თავისქალა რომ კვიცქერს  
 ჩამქრალი მღვიმის თვალებით.  
 დგანან და ჰატრონს ელიან  
 ლოდინით დაქანცულები,  
 გადაუძლავთ უბეში  
 ზღაპრული სავანძურები.



მხატვარი პიორგი როინიშვილი





თქვენი მშობლები თქვენოდნენ არც იქნებოდნენ, როცა ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა ზღაპარი «ცივი მასო და თავი მისი» მერე თავკერმა და მატყურა თავისი და გულკეთილი ცივის მეგობრობის ამბავს რადიოს «ძილისპირულშიც» ხშირად გადმოსცემდნენ, შემდეგ კი ტელეეკრანიდანაც აჩვენეს ეს ზღაპარი ბავშვებს. ამას სხვა ზღაპრები და მოთხრობები მოჰყვა: «ვინ მოიპარა მდინარე», «როგორ დაისხა ქლიაგმა გოგრა», «პატარა დარეჯანი და დიდი მუხეუშინი», «კაკალი», «ბუცა», «ცერა» და სხვა და სხვა. მათი ავტორი მაშინ ახალგაზრდა მწერალი გიორგი პაპუაშვილი იყო. მალე ჟურნალ «დილაში» გიორგი პაპუაშვილის ინიციატივით გაჩნდა განყოფილება «შო პაპას მარანი», სადაც შო პაპა საინტერესო ზღაპრებს უყვებოდა პატარებს. მოგვიანებით ჟურნალის ახალ განყოფილებაში «გმირნი, მამულის მადიდნი» გიორგი პაპუაშვილი ჩვენს სახელოვან წინაპრებზე ვთავაზობდათ მოთხრობებს.

გიორგი პაპუაშვილი ახლა სამოცი წლისაა და მის ნაწერებს უკვე მისი პირველი მკითხველების შვილები კითხულობენ. ვუსუბოთ, თქვენი შვილებისთვისაც დაეწეროს გიორგი პაპას კარგი ზღაპრები და მოთხრობები.

## ქეთო და ბეთო

ბატკანი, ვიცი, რომ ყველას გინახათ. ტელევიზორში კი არა, ძალიან ახლოს ხელის დადებითაც. ჰოი, რა ლამაზია, რა საალერსო! წინა ფეხებს რომ დაგობაკუნებს, ყურებს დააცქევს და პაწაწინა რქებს დაგიღერებს, მოგიინდება, აკოცო, მაგრამ გაგექცევა, ხელში არ ჩაგივარდება.

ქეთოსაცა ჰყავს ერთი ასეთი ბატკანი. თვითონ ბეკოს ეძახის, მაგრამ პაპამ ბეთო შეარქვა: ქეთო და ბეთო შეწყობილი სახელებიაო.

ქეთოს ბატკანი ჰყავს-მეთქი, ვამბობ, მაგრამ, არ გეგონოთ, რომ ქეთომ გააჩინა ის ბატკანი. არა, ქეთო ჯერ პატარაა და ეგეც არ იყოს, ის როცა გაიზრდება და შეიღოს გაჩენს, შეიძლება შოთა გააჩინოს, თამარი გააჩინოს, დავითი გააჩინოს, ირაკლი გააჩინოს, მაგრამ ბატკანს კი არამც და არამც არ გააჩენს და ვერ გააჩენს. ბატკანი მხოლოდ ნერბმა უნდა გააჩინოს, უფრო სწორად კი, ნერბმა უნდა მოიგოს. ნერბი რაღაა? ნერბი დედა ცხვარს ჰქვია, რომელიც ბატკანს იგებს. ზოგიერთი ნერბი ტყუპსაც იგებს ხოლმე —



ორ ბატკანს ერთად. ნერბიც ისეთი ლამაზია, რომ ენა ვერ გამოხატავს. განსაკუთრებით ლამაზი და მომხიბლავია, როცა თავის ბატკანს ძუძუს აწოვებს. ამ დროს რომ დინახონ, ამიყად დგას გადრეცილი, თვალმინაბული, და დროდადრო, როცა მისი ღალიანი რძით პირჩაგემრიელებული ბატკანი მეტი სიამოვნებისაგან რიკს გაიქნევს და ღუძას შეათამაშებს, მასაც უხარია და «მეფო», ჩასძახებს რბილი ხმით. ეს ვეველაფერი ახლა უკვე კარგად იცის ქეთომ, რადგან ამას წინათ პაპამ ბადიაურის ბაზარზე ნერბიც უყიდა და ბატკანიც — ორივე ერთად. პაპამ თქვა, აქამდე ცხვარიცა და ბატკანიც ჩაღის ფასი ღირდაო და ახლა კი ცეცხლი უკიდილო. სამი თვის პენსია სჭირდება ერთი კარგი ბატკნის ყიდვასო. ჰოდა, ამით გაბარებულ პაპა ადგა და ცხვარ-ბატკანი იყიდა. მე თვითონ მოვუვლიო, გამოვზრდიო და ცხვრები მეყოლებათ. მართალია, დავიტანჯები, მაგრამ სააღდგომოდ და სამარიამობოდ ბატკნების ყიდვა აღარ დამჭირდებაო.

თქვენ, ეი, პაპებო და ბებებო, გამოფხიზლდით და გაიგეთ, რომ ამპარტავენობით ველარ იცხოვრებთ! ცხვარ-ბატკანიც უნდა იყოლიოთ, ღორ-ხოცო და ინდაურებიც! ქათამს ხომ თქმა აღარ უნდა. რატომ? იმიტომ, რომ ხორციც და კვერცხიც თავზე უნდა გადასდიოდეთ თქვენს პატარებს, თუ გინდათ, რომ მაგრები და ღონიერები დაიზარდნენ. ვისაც ბევრი ფული გაქვთ, ნაციდითაც შეიძლება გაანებოერთო თქვენს შვილიშვილებში, მაგრამ მოვლას და შრომას ვერ ისწავლიან და სხვის ხელში შემხედვარები გახდებიან.

რით დავიწყე და სადამდე მიმიყვანეთ! იმას ვამბობდი. პაპამ რომ ქეთოს ცხვარ-ბატკანი უყიდა, მერე ის ბატკანი ეზოში გაუშვა, მშვენიანზე. ნერბი კი, თოკით კი არა, გრძელი ბაწრით ნუშენი დააბა და მას შემდეგ წმირად გადააბამს ხოლმე ერთი ადგილიდან მეორეზე, რათა სამი და სამი ბალახი მოძოვოს. სამი ბალახი რაღაა? სამი ბალახი ის არის, ჯერ რომ პირუტყვის ძაღლები არ შეჩებია. ასეთი ნუშებარი ბალახი ძალიან ეგემიელება ცხვარსაც და ბატკანსაც.

ბეთომ ძალიან მალე გაითავისა პაპას



ეზო. სადაც ცხვარი ება, ისიც იქვე სძოვდა და ცდილობდა, არ მოშორებოდა. აწყობილი ჰქონდათ ცხოვრება და იმათ ბუნდირებს ალბათ არც არაფერი შეედრებოდა, რომ დედას თოკი არა ბმობა რქებზე.

ერთხელ კი... ერთხელ რაც მოხდა, ეგ არის მთავარი...

ერთხელ ძველი ნამეცხვარალი ვანო პაპა შემოვიდა.

— ე ცხვარი რომ გასაპარსია, ცოლო არ არის? არ დაისიცხება? — იკითხა ვანო პაპამ.

— თუ დაისიცხება, გაპარსვა კიდევ შენი ხელობაა, — უპასუხა ქეთოს პაპამ.

— დუქარდს გამოვიტან და არც მაგაზე დავზარდები.

დუქარდ რაღაა? დუქარდი ცხვრების საკრეჭი მაკრატელია. კრიჭ-კრიჭ, კრიჭ-კრიჭ, მკვეთრი ხმით კრიჭინებს და ისე სუფთად პარსავს ნერბებსაც და ყონებსაც, როგორც პარიკმახრის საპარსი მანქანა. ერთი სიტყვით, დუქარდი ცხვრებისთვის მაკრატელიც არის და საპარსი მანქანაც. მართალია

უკვე კარგახანია, როგორც ადამიანისთვის, ცხვრებისთვისაც გამოიგონეს ელექტროსაპარსი მანქანა, მაგრამ დუქარდი მაინც დუქარდად დარჩა. ცოტა ცხვარი როცა გვაგვს გასაპარსავი ან ისეთ ადგილას ვიდგას ცხვარი, სადაც ელექტროგაყვანილობა არ არის, იშულებული ხარ, დუქარდს მიმართო, თანაც ის დალოცვილი ელექტროსაპარსი ყველა მეკომურს ხომ არ ექნება, ვისაც ორიოდე ცხვარი უბლავის კარზე? პოდა, არც ვანო პაპას ეშოვებოდა ის რაღაც ელექტროსაპარსი, და თავისი ახალგაზრდობისდროინდელი დუქარდი გამოიტანა, ცხვარი მწვანიანზე წამოაქცია და პარსვა დაუწყო.

აბურდული მატყლი ჰქონდა ბეთოს დედას, დაუვარცხნელი და დაბუნელი. და როცა ვანო პაპამ ცხვარი სუფთად გადახატრა და ფეხზე წამოახტუნა, ბატკანმა თავისი დედა ველარ იცნო და ბლავილი ატეხა.

— მევე!... ვინ წამართვა დედა?.. მევე!  
— ვგ არის დედაშენი! — გაედმა ქეთოს



მატკარი პაპა ქარხლი

პაპას, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, რებში არ შეუშვა ბეთომ მისი ნათქვამი.

— დედა დავკარგე მევე!.. ვინლა მომწოვებს ტუქს მევე? — პაპასთან მიიჭრა ბეთო და მუხლებთან შებღვანდა.

ვგ არის დედაშენი, ბეჭო, რატომ არა გჯერა! — პაპამ ისე დაუწყო ლაპარაკი, თითქოს იმისი რომელიმე შვილიშვილი ყოფილიყო, მაგრამ ვერაფერი შეგანებინა.

— მევე!.. ვგ არ არის ჩემი დედა. ვგ ვიდაც ხოტორა და გადამთიელია. დამბრუნეთ ჩემი კარგი დედა მევე! — ჭიშკრისკენ გაჭენდა ბეთო, მერე უკანვე მოვარდა პაპასთან.

— მე ვარ დედაშენი, შვილო, მევე. რა გულს იხეთქავ, მოდი, ტუქუ მოგაწოვო! — მიუახლოვდა დედა.

— შენ ვიდაც ხარ და მატყუებ, დედაშენი ვართ. არ მინდა შენი ტუქუ მევე!

საქმე ის არის, ორი თვეა, რაც ბეთო გაჩნდა და მხოლოდ გაუპარსავი დედა ახსოვდა. გაპარსული ვერც წარმოედგინა.

— აბა, მოდი აქ! — ხელი წაავლო პაპამ და ბატკანი ნერბის ტუქუებთან მიიყვანა, ცხირიც კი მიადებინა. ტუქუების დანახვაზე რაღაც სასიამოვნო გაახსენდა ბეთოს და ერთბაშად დაეძვრა ჯიქანს.

— უი, შენ კი გენაცვალე, დედი, თურმე შენა ყოფილხარ და მე კიდევ სხვა მეგონე! — მეტი სიხარულისაგან დუმის რიკი აათამაშა ბეთომ.

— აბა, რა გგონა, შვილო, განგაში რომ ატეხე და აღმა-დაღმა გაჭენდი, რატომ არ დამიჯერე, დედაშენი მე ვარ-მეთქი, მევე! — სიამოვნებით გაიდრიცა თდნავ კიბე-კიბეგაკრეჭილი, გავადამრგვალებული ცხვარი.

როცა ბეთომ ორივე ტუქუ გემრიელად გამოუღეჭა დედას, პაპასთან მიბაკუნდა მორჩილად და, ცოტა არ იყოს, დარცხვნილია.

— მაპატიე, მართლა დედაჩემი ყოფილა და არ გჯერებდი. ამის შემდეგ მუდამ დაგიჯერებ მევე. — მერე ისევ დედასთან გაიქცა, გვერდში ამოუღება და ყელი მოიდგრა: — აი, როგორი ლამაზი დედა მყოლია და მე კიდევ არ ვიცოდი. აბა, გამოიცანით, ვის უფრო ლამაზი დედა ჰყავს: ქეთოს, ბეთოს, ნინოს თუ ელოს? რა თქმა უნდა, მევე!

# გოცონა + ბეანა


მთავრობის  
ინსტიტუტი

ავტორი - შინ ლეჟანაი




თავისთვის მისი-დავითი გეგმ  
თავისთვის დავითის თვის  
დავითისთვის, ადვოკატი,  
სამსახურზე,  
სულთანი,  
ქონი,  
დავითი...

## გეგა ლეონი იქ ლაშქრენებელი



მა ძველადღობილი დასახიი ვეგა  
გეგა დავითს...

ვინ სმენ ხარ, გე-  
გა 40 000 ყრვანელი  
გეგანი დასახი  
დავითის ქონი,  
ვეგა...



გეგა მისი და ყრვანელი  
გეგანი შინი, შინი,  
ოსტია შინი გეგანი  
ყრვანელი სონი.



მა მსონი...



Ենթադրեմ, ընդունող հիմնականում  
զուգահեռ ընթացողներն էին:



Բնական ընթացիկ, ստիպված զինվորական-մոտեցում  
ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ

Վերադարձված ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ  
ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ  
70 000 ընթացիկ ընթացիկ



Ենթադրեմ ընթացիկ ընթացիկ?



Ստիպված ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ  
ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ



Ստիպված ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ  
ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ ընթացիկ



ჩვენი სახლის აივნინდანაც ჩანდა, მაგრამ სა-  
მერცხლედიან სულ სხვა რამ იყო! მთაზე ერთ  
ადგილს ვაშტერდებოდი. იქ ყველაზე მაღა-  
ლი წვეროს საყდრის გუმბათის მიაგავდა, ვუყუ-  
რებდი, ვუყურებდი და ეჭვიც არ მეპარებოდა,  
რომ მთაზე თეთრი, გუმბათოვანი საყდარი  
იღდა.

ერთხელ ჩემი თანაკლასელი გოგონა მო-  
ვიდა ჩვენსა. გაეგო, რომ სხვენზე ვიყავი, და  
ისიც ამოვიდა მაღლა.

— თავვი ხომ არა ხარ, გოგო, აქ რას დაძ-  
ვრები, — მითხრა სიცხლით.

— მთებს გავყურებ, იცი, რა ლამაზია?  
თანაც ერთ ადგილას საყდარი მოჩანს, პა-  
ტარა, კონტა საყდარი, აბა, გაიხედე!

გოგონა სამერცხლის სვეტებშუა ჩამაგრე-  
ბულ ლატანზე, ჩემ გვერდით დადგა და გადა-  
იხედა. მთები ძალიან მოეწონა, მართლაც,  
აქედან რა ლამაზია, თითქოს ფერადი ფანქ-  
რებით დაუნატავთო. საყდარი კი ვერ დაინა-  
ხა. გული დამწყდა, მინდოდა, იმასაც დაენა-  
ხა. მერე მე თვითონ ავიყვანე მაღლა ჩემი  
ტოლი, მეზობლის გოგონა და გადავახედე  
სამერცხლედიან, ერთი ეს რაღას იტყვის-მეთ-  
ქი. ვერც იმან დაინახა საყდარი, სასაცილო-  
დაც არ ეყო, იტყვი ხოლმე რაღაცას, გოგო,  
იქ საყდარს რა უნდაო!

«მაშ მე რომ ვხედავ, იმათ რატომ ვერ  
დაინახეს?» — ვეკითხებოდი ჩემ თავს, პასუ-  
ხის გაცემა კი არ შემეძლო. ავდექი და ბები-  
ას შეეჩვილე:

— ბები, მთაზე ერთ ადგილას საყდარი მო-  
ჩანს თავისი თეთრი გუმბათით, მაგრამ ვინც  
კი გაგახედე, ვერაფერ ვერ დაინახა...

— სხვას რას უყურებ, შვილო, შენ ხო ხე-  
დავ?

— ვხედავ, მაშ, ბებო, კანთიფლად ვხე-  
დავ...

— ჰოდა, პირჯვარი დაიწერე, ინატრე რა-  
მე და შეგისრულდება!..

დავუჯერე ბებიას. როცა სხვენში ავდიო-  
დი, უსათუოდ გაგუნდავდი ჩემს საყდარს, მე-  
რე სამ თითს ერთმანეთზე მივატკუცებდი და  
პირჯვარს გამოვისახავდი, თან ვინატრებდი:  
«ღმერთო, კარგი ნიშნები მიმალდებინე,  
რომ შემდეგ კლასში უგამოცდოდ გადავიდე-

## ჩემი საყდარი

ენო ბაზარაშვილი

პატარაობაში ძალიან მიყვარდა ჩვენი  
სახლის სხვენზე ასვლა. სამერცხლეში გაე-  
ყოფდი ხოლმე თავს და მთელ ქვეყანას გადაე-  
ყურებდი. იქიდან კარგად მოჩანდა ალაზნის  
ველი და კავკასიონი. გვიან შემოდღომაზე,  
მზიან ამინდში მთის ფერდობები ლურჯი იყო,  
ხასხასა, წვეროები კი თოვლით ჰქონდა ჩა-  
მობარდნილი. ალაზნის ველი და კავკასიონი

მეთქი».

მას შემდეგ თითქმის ორმოცდაათი წელი ისე გავიდა, იმ სხვერზე აღარ ავსულვარ, აღარც სამერცხლედან გადამიხვლია მთებისაკენ. დღეს კი ძალიან მომინდა მალდა ასვლა, ხელოსნისაგან შეკეთებული სახურავი უნდა მენახა. ძველებურად ვეღარ ავირბინე კედელზე მიფუძებული კიბის საფეხურები, თითქოს სიმადლისა შემეშინდა, ცოტა მუხლებიც ამიცახცახდა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და როგორც იქნა, ავედი.

სახურავი კარგად იყო შეკეთებული, ხელოსანს მაგარი საყრდენები შეეყენებინა. ქვემოდან შეეყურებდი ძველ, მუნის კავეებს შუა, ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულ ქართულ კრამიტებს და მიხაროდა, რომ სახლში წვიმის წყალი აღარ ჩამოვიდოდა.

რაკი გული დავიარხეინე, ახლა სამერცხ-

ლედან გადავიხედე. კარგი ამინდი იდგა. მზე ანათებდა, კრიალა სივრცეში ამართული მთების ჩამოთლილი წვეროები მზის შუქზე ვერცხლივით ლაპლაპებდა, ალაზნის ველზეც ათასნაირი ფერი ბზინავდა.

ვუყურებ მთებს, ვუყურებ და უცბად, მე კი არა, თითქოს გული კვიის: «ჩემი საყდარი!» ისევ ისე მოსჩანს ის, როგორც წინათ, ჩამოთოვლილი წვერო გუმბათს მიუგავს, კალთები — კედლებს.

...ვუყურებ და სამი თითი თავისთავად ეკრობა ერთმანეთს პირჯვარის გადასაწყურად. პირჯვარს ვისახავ, არც კარგი ნიშნების მიღებას, არც კლასიდან კლასში უგამოცდილ გადასვლას, ეხლა სულ სხვა რამეს შევთხოვ ჩემს თეთრ საყდარს:

«ღმერთო, გადარჩინე გასაჭირში მყოფი ჩვენი საქართველო, ღმერთო!»


## ღმერთო, სამთარი შეშავარდა

### სალსური

ღმერთო, სამთარი შეშავარდა,  
ნეტავი გადარაო.  
მზე დამანახვა, კაი მზე,  
ნეტავი გამანარაო.  
ხან არი ცივი სხივები,  
ცუდი ღარია ხანაო,  
თოვლი დადნაო, მთა-ბარო  
სამოდ ანმწვანაო.  
მდელოზე გაჩნდეს ენძელა,  
და მასთან ერთად იაო,  
მატარა შიშველ ფენითა,  
ბალახი მავლეჯინაო.  
მერცხლების ტკბილი ვალობა  
მესმოდეს ეოველჯანაო,  
მალე მომკვარა საფხული  
და აღარ ვაიეჯანაო.



შატავარი თამაზ ხუციშვილი



ძვირფასო პატარებო!  
ჩვენი საყვარელი სამშობლოს ბედი ცოტა უკეთ  
რომ წარმართულიყო, ცოცხალ ირაკლი აბაშიძეს –  
დიდ ქართველ პოეტსა და მამულიშვილს – თქვენი  
მოწიფულობის ასაკშიც უნდა მოსწრებოდით!

ბატონ ირაკლის, ასაკის მიუხედავად, სასიკვდილო  
მართლაც არაფერი სჭირდა!

არადა, მსცოვანი პოეტის ბევრისმანაწევლმა გულმა  
ძმათამკვლელი თმის ყურებას ვერ გაუძლო, იმ დიდ  
სირცხვილს ვერ გაუძლო, მის საკუთარ ხალხს რომ  
დაატყდა თავს...

«მოკვდა პოეტი!...»

პოეტებს კი – მერე გაიგებთ! – ყველაზე მეტად  
სამშობლო და სიცოცხლე უყვართ, და კიდევ... მშობ-  
ლიური ენა!

«– ო, ენავ ჩემო,  
დედაო ენავ,  
შენ ჩემო ნიჭო,  
სრბოლავ და ფრენავ,  
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდი ალამო,  
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილი მალამო,  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,  
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან...»

ამ უკვდავი სტიქონების ავტორი იმ ქვეყნად ისე-  
ვე ცარიელი წავიდა, როგორც ყველა ადამიანი! – რაც  
რამ ძვირფასი გააჩნდა, ისიც შენ დაგიტოვა, ჩვენო პა-  
ტარა ქართველო!

შენ დაგიტოვებ ყველაზე ლამაზს,  
ყველაზე ძვირფასს, რაც გამაჩნია...

ლოლო წიფიძე

# ირაკლი

# აბაშიძე

## მსახოთა

თუ ყველაფერი არის სიზმარი,  
თუ ბინდის ფერი არის ეოველი,  
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,  
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?  
რატომ ელვარებს უძველეს ქვაში  
სამთავროს სვეტი მცირე და დიდი,  
ან ზედ ქალაქთან შეგუბულ მტკვარში  
რატომ ჩანს ისევ ზომწვის სიდი?

მე დავანახებ არმაზის მხარეს —  
კედლებს, ნანგრევებს, ძველად ნაქალაქებს,  
სადაც არავის უძლეველ მთავრებს  
სმინავთ — ჩვენს ძველთა ძვალშესალაგებს.  
და გავასხენებ იმ დღეებს, როცა  
მცხეთას ზღაპრული გახსნეს თაღები,  
და ჩვენს წინ, როგორც მეორედ მოსვლა,  
აღდგენენ არმაზის სარკოფაგები.



ჩვენ აღტაცებით დავცქერით განძებს,  
 ავღღამის ქვეშე შარჯუვად ჩასმულებს:  
 საოცარ თვლებით მოჭვდილ თასებს,  
 საოცარ თვლებით ნაჭვდ სასმურებს,  
 სურებს, გვირგვინებს, ლარნაკებს, ხონჩებს,  
 კვლავ ცოცხლებს, რაღაც უცნობ წამა-

ლით...

(თუმცა ამოდ ვეძებდით ჩონჩხებს —  
 ქვეშე არ ჩანდა ძელის ნატამალიც).  
 და მე უფიცავდი თავსა და სინდისს,  
 ამ უცნოდ ნაჭვდ განძის მხოვნელი,  
 რომ ეველაფერი არ არის ბინდი,  
 რომ არც სისმარი არის ეოველი.

რომ, იქნებ, მათაც, მიწიდან ახლა  
 ამ ძვირფას თვლებით რომ შემოგვხედეს,  
 სისმრად მიანხდათ ეოველი ქვეუნად,  
 ამ უკვდავ განძის ძველ შემოქმედებს.  
 ჩვენ კი დღეს სწორედ, ჩვენ კი დღეს სწო-

რედ,

ათას წელს ქვეშე მოწმედ დებულებს,  
 ათას წლის შემდეგ მაღლა ვწევთ სურებს,  
 სასმურებს, მათგან მოწოდებულებს.  
 არა, არ წავუკვს, არ წავუკვს ჯავრი, —  
 თუ ბინდის ფერი არის ეოველი,  
 რატომ დგას, რატომ დღეს მცხეთის ჯავრი,  
 რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი!?

მხატვარი ბიორაგი როინიშვილი

F-6049



საპარტიზოს  
 ნომერი 100

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ფანჯარა ბაღს გადაჰყურებს.  
ფანჯარიდან მზია იყურება.

— დედა, დედა, ნახე როგორი თეთრი თოვ-  
ლი მოსულა! — სიხარულით წამოიძახა და  
მცირე ღუმლის შემდეგ დაამატა: — მე თოვ-  
ლი მიყვარს.

— რათ გიყვარს თოვლი? — ჰკითხა დე-  
დამ.

— იმიტომ, რომ თოვლი თეთრია.

— თეთრი რატომღა გიყვარს?

— იმიტომ რომ თეთრი სუფთაა. ჰოდა,  
მე სისუფთავე მიყვარს, — უპასუხა მზიამ.



## დაბადების დღე

მზია შარშან ხუთი წლისა გახდა. მი-  
სი დაბადების დღეს მისმა მშობლებმა მე-  
გობრები და ნათესავეები მოიპატივეს. გოგო-  
ნას ნაირნაირი სათამაშოები მოუტანეს,  
დაბადების დღე მოულოცეს და ბევრი იმნი-  
არულეს.

გავიდა ერთი წელი.

— მაიკო, წელსაც ხომ იქნება ჩემი და-  
ბადების დღე? — ჰკითხა მზიამ მამას.

— იქნება.

— დეიდები და ბიძიები ხომ მოვლენ და  
მომილოცავენ?

— არა, შეილიკო, წლეულს დეიდებს და  
ბიძიებს ვერ დავპატივებთ.

მზია დაღონდა და თვალცრემლიანმა  
იკითხა:

— მამ მე ისევ ხუთი წლისა უნდა დავრჩე?



დათვის სოკოს თუ ნაოჭას,  
თირქმელას თუ ფშუკურას  
ეურადღებით აკვირდება  
დინჯი გოგო — შუქურა.  
ხრამუნა და ვერძვისძირა,  
ქამა,  
ღუმა,  
ნაბადა...  
შხამამი არ ამერიოს,  
არ გაუხდო ავადა.  
თან ტუქს ღოცავს,  
რომ ასეთი  
ღამასები დაბადა.



მთა აპირანავილი

## დასვენება

— უკვე დროა სამუშაოს თავი მიანებო; ხვალ დასასვენებლად უნდა წახვიდე სანატორიუმში.

მხატვარი ბასო ნილაშვილი



— უხორბა ცოლმა სამუშაო კაბინეტში მოფუსფუსე ღიღ ამერიკელ გამომგონებელს თომას ალვა ედისონს.

— სად? — ჰკითხა ედისონმა.

— შენ თვითონ აირჩიე ადგილი, რომელიც ყველაზე უფრო მოგწონს.

— უკვე არჩეული მაქვს და მივდივარ კიდეც, — მიუგო მან.

მეორე დღეს ცოლმა იგი ლაბორატორიაში იპოვა სამუშაოში ჩაფლული.

# სხვა მთხ



## იქით

### გოთამელი ჭაშის კოლოფები ინგლისური ხალხური ზღაპარი

ერთმა გოთამელმა კაცმა ყველი წაიღო ბაზარში გასაყიდად. როცა სერხე ჩადიოდა, ნოტინგემის ხიდისაკენ, გულიდან ერთი ყველი ამოგვორდა და დაგორდა.

— როგორ, ძმობილო, — მიაძახა კაცმა — მიაგნებ მარტო ბაზარს? აბა სხვებსაც გამოგაყოლებ.

თქვა ესა, გადმოიღო გუდა, ამოლაგა ყველი და სათითაოდ დააგორა თავქვე. ზოგი ერთ ჩირგვში შევარდა, ზოგი მეორეში. თან მიაყვია — იცოდეთ, ბაზარში უნდა შემხვდეთო.

მივიდა ბაზარში ყველის შესახვედრად და მანამ ელოდა, სანამ ბაზრობა თითქმის არ გათვალა. ახლა ნაცნობ-მეზობლებში გამოიკითხა — ვინმემ ყველი თუ ნახეთ ბაზარში მოსულიო.

— ვის უნდა მოეტანაო, — ჰკითხა ერთმა მეზობელმა.

— თვითონ უნდა მოსულიყვნენ, — მიუგო კაცმა — ვა ვარგად იციან. ვაი ჩემი ბრალი, ეტყობა ისე ჩქარა ურბენიათ, ახლა იორკში იქნებიან ჩასული.

თვითონაც აღარ დაუხანებია და გაეშურა, მგვრამ დღემდე არა კაცს მისი არა სმენია რა.



ერთხელ თორმეტი გოთამელი სათევზაოდ გაემართა. ზოგი რომ წყალში შევიდა; ზოგიც

ნაიბრზე დარჩა. სახლში რომ ბრუნდებოდნენ ერთმა უთხრა მეორეს: კარგა ღრმად კი ვტოვებოდა დიო წყალში, ღმერთსა ვთხოვ, არავინ დაგვხრნობოდეს.

— მოდი, აბა, დავთვალოთ, აქეთ რომ წამოვედით, თორმეტი ვიყავით, — ჩაერთოთ მესამე.

თვალეს, თვალეს — თითოეულმა თერთმეტი დათვალა. ერთი დაგვხრნო, — თქვეს. დაბრუნდნენ უკან, იმ დღესთან, სადაც ითევზავს, და დაუწყეს დამხრნავლ ამხანაგს ძებნა აღმა-დაღმა, თან ერთ ვაი-უშველებელს ტყბდნენ. ამ დროს ერთმა გლეხმა ჩამოიარა და ჰკითხა — რას ეძებთ, ან ასე რას მოთქვამთო.

დღეს ამ დღეში ვითევზავთ; შინიდან თორმეტი წამოვედით, ერთი დაგვხრნო, — უპასუხეს მათ.

— ახლა რამდენი ხართ? — შეკითხა გლეხი.

— თერთმეტი დავხრითო, — მიუგო ერთმა. თავისი თავი არ მიუთვლია.

— რას მომცემთ რომ გიშველოთო, — კვლავ ჰკითხა გლეხმა.

— რაც ფული გვაბადია, სულ შენი იყოსო, — უთხრეს გოთამელებმა.

— აბა, ჩამოდიოთ ფულს, — მოითხოვა გლეხმა. მერე გადმოიღო მათრახი და დასცხო და დასცხო ბეჭებსო. რამდენსაც გადაჰკრავდა, იმდენს მიათვლიდა — ეს ერთი, ესეც მეორე. ბოლოს რომ მიადგა, მასაც ერთი მადიანად გადააწნა და დააყოლა — ესეც მეთორმეტეო.

— შენ გიშველა ღმერთმა, — უთხრეს მათ, — მკვდარი ამხანაგი დავგიბრუნე!.



# ხალხური

## ნუ გაუტყდები

ნუ გაუტყდები, მოეძეო,  
გაბეგრებასა მტრისასა,  
ბერო, ბერობას ნუ შივი,  
დაკლებას თვალებისასა,  
ეცადე ჭკვა-გონებასა  
რიგებას თემ-სოფლისასა.



მხატვარი ვახა ქუარული



## ჩემი ქვეყანა

ხანიაღვრალი დილაა,  
გულს ეფინება ნათელი,  
მზის ბადავს დაუთაფლია  
მწვერვალი დამენათოვი.  
ცურავს ღრუბლების სვავები,  
ვით მდინარეზე ტიკვები,  
დიძიმებს ჩემი ქვეყანა,  
ცა ისარტყლება მძივებით.  
მიწას მზე ჩაჭკონებია,  
სიღურჯეს ღვრიან იები,  
ბიბინებს მწვანე ჯვჯილი  
სოფელს ქარგავენ სსივები.



## ვაჟკასი

მტერსა რომ მტრობას უწევდეს  
— ვაჟკაცის შესაფერია.  
ვისაც მტრის მტრობა აძინებს,  
ქვეყნად ის არაფერია.  
არც მაუსდებ აბჯარი,  
არც ომში წასასვლელია,  
არც ვაჟკაცებში სხედების,  
არარად ჩასათვლელია.  
უნდა გაზარდოს დედამა  
ვაჟი მტრის გამჯავრებელი,  
აუგის მოქმელი არ იეოს,  
არც ფენის დამწვნარებელი.  
არც აძინებდეს სიკვდილი,  
სიცოცხლის გამმწარებელი.


## სალსური

გატენებისას მასკვლავი  
 ეუბნებოდა ცისკარსა:  
 — ბუერს ნულარ დაიგვიანებე,  
 მალე ამოდი, ღვთის მადლსა.



## სალსური

არ მომწეინდები, სუნთქვამდე,  
 შენ, ჩვენო მთების ნიავო,  
 დაუღებულო ქედებო,  
 კორებო ბალხიანო.



## ამოსანა

მადა ბლიაძე

შუის ჰქონდა კაკლები:  
 ოცზე ორით ნაკლები.  
 სამი მისცა მყუვალას,  
 სხვა კი ველარ დათვალა.  
 აბა კობა, მაიკო,  
 მიეხმარეთ დაიკოს.  
 დარჩენილი კაკლები  
 თანაბრად რომ გაიყოთ.

მზავარი ბიორგი როინიშვილი

## ზამთრის გამოსანა

შოთა სტაფანაძე


არის მცირე რამ ტრანსპორტი,  
 ვერ მივაკუთვნებ მანქანებს,  
 თოვლზე უჩუმრად მოძრაობს,  
 არც ქშინავს და არც ქაქანებს,  
 აღმართზე ბაწრით ჩვენ აგვაქვს,  
 დაღმართზე ის მოგვაქანებს.





# ატოსკოჭლი

შეადგინა პაპ კაკაბაძე



ჩასვით უჯრებში საქართველოს დაბა-ქალაქების სახელები, ისე რომ წითელ სვეტში მიიღოთ ჩვენი საშუაბლოს სახელი.

1 – ქალაქი აფხაზეთში. 2 – ქალაქი სამეგრელოში. 3 – ქალაქი იმერეთში. 4 – ქალაქი აჭარაში. 5 – ქალაქი გურიაში. 6 – ქალაქი კახეთში. 7 – დაბა შიდა ქართლში. 8 – დაბა სვანეთში. 9 – ქალაქი რაჭაში. 10 – ქალაქი-ნავსადგური.

გამოდის 1904 წლიდან.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საშობლო“  
 მთავარი რედაქტორი **სიმენიზ ჩალაშერი**

პასუხისმგებელი მდივანი **ციციბო ზამრავლიძე**

სამხატვრო რედაქტორი **გიორგი როგოშვილი**

ტექნიკური რედაქტორი **ანდო წამბაკია**

განყოფილებები: პრისის (დოლო წიფჩივაძე) პოეზიის (შერმაღინ ქალღანი), წერილების (მადლა კვაჭანტრიაძე), მისაღები: (მადელა გიორგაძე).

მისამართი: რელიქციის, გამომცემლობის, სტამბის – თბილისი, კოსტავას 14. ტელეფონები: 93-41-30, 93-10-32.

გადაეცა ასაწეობად 3.02.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.03.92. ქალაქის ზომა 60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>; ფის. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 30 000, შეკვეთა № 110.



ელახე ნახატი **ალექსანდრე ციხელაშვილისა**




ბ ა ა ვ ე მ

გახსოვს, რა არის მრავალწახნაგა?  
 მრავალწახნაგა ბევრნაირია, მაგრამ მხოლოდ  
 ხუთია წესიერი მრავალწახნაგა  
 დღეს მხოლოდ ორ მათგანს ტეტრაედრსა  
 და კუბს გინფენებთ.  
 სწორად დანატე, გამოჭერი და დააწყებ აქ  
 მოცემული თარგები. შემდეგ კარგად დააკვირ-  
 დი მიღებულ სხეულებს. რატომ ეწოდება მათ  
 წესიერი მრავალწახნაგები?

ა  
ბ  
გ  
დ  
ე  
ვ  
ზ  
თ



კუბი



ა  
ბ  
გ  
დ  
ე  
ვ  
ზ  
თ